

სახალხო გამეორე

ს უ რ ა თ ე გ ი ა ნ ი ღ ა მ ა ტ ე ბ ა

გაზეთის № 764

დაგაცემის № 134

ბერია, 2 დეკემბერი 1912 წ.

უცნაური ბერია

მსურს ის წამი,—როს ამ ბარათს მწერდი ასე სასოებით—
ჩემს ეტრატზე ღრმად ამოვჭრა, ღრმად, წითელის ასოებით!..

მსურს წარსულთა ნაფიქრალით აწმყოს რწმენით გავებრძოლო;—
მსურს წუთიერ გულის თქმასა საუკუნო ჰქონდეს ბოლო;

მაშ მითხარი! მაშ მითხარი, ეს წერილი საარშიყო

რად მომიძლვენ, რას ფიქრობდი, სად დასწერე, რა დრო იყო?

თუ საწლზე შესთხე, ტურფავ, თავს ხილაბანდ გადაკრულმა,—

მაშინ და, ეგ ლოგინი სისხლით მორწყოს ამ ჩემ გულმა!..

და თუ სოფლიად, ბაღში სწერდი—მაშინ მყისვე ვეტყვი სიოს,
რომ გაქვავდეს იმ ადგილას და მაგ მელნად დაგაფრქვიოს!..

მაშ მითხარი! მაშ მითხარი ეს წერილი საარშიყო:—

რად მომიძლვენ, რას ფიქრობდი, სად დასწერე, რა დრო იყო?..

მსურს წარსულთა ნაფიქრალით აწმყოს რწმენით გავებრძოლო!..


მსურს წუთიერ გულის თქმასა საუკუნო ჰქონდეს ბოლო!..

ქ. ბაქო.


ი. გრიშაშვილი.



ამიერ პავასიის ღია უტატები.



3. გელოვანი.
სოციალ-ფედერალისტი.



ქ. ჩხეიძე.
სოციალ-დემოკრატი.



4. ა. გავრიშვალი.
სოციალ-დემოკრატი.



5. წერთელევი. სოციალ-დემოკრატი.

რჩი ჰენგი

1.

მზე ცისმარე დღე ამოდის, ჩადის,
თითქო თამაშობს მალულაობას...


ჩასვლის დროს სხვა გვარ ხვალეს გვიქადის,
ხვალ კი ვგრძნობთ ისევ არარობას.

ჩემო ლამაზო, შენც მზესა ჰგევხარ!
ყოველ-დღე ახალ ტრონის მპირდები;
მაგრამ რაც იყავ, კვლავ იგივე ხარ
და შემდეგშიაც იგივ იქნები.


ორნაირ ნათელს მიგზავნის ზეცა:
პირმკრთალ მოვარის და მხურვალე მზისას;
დილისით მწვავს ცეცხლში ღამისა მსხვერპლად,
ღამით მფენს სხივსა გულცივობისას.

არ ვიცი რომელს ვუმდერო ქება,
რომელს გაუნდო გულწრფელი ტრფობა!
ერთში სიცოცხლე შიგ ითერფლება
და მეორეში ცივდება გრძნობა...

ი. მჭედლიშვილი.



† ვ. ჭავჭავაძე.
უკრაინელი კაბინეტის
წევადასა და საზოგადო მოღვა-
წე.



47



ს. რომიანი.
სახელმწიფო სათათ-
ბიროს თავმჯდომა-
რე.

ს უ ნ ა გ ი

გარე ცვენისა.

დიალ, იმ დროს ქალაქში ძალიან დაბრუნებისა. ცხადია, დედები მუდმივ შიში იყენებით პატარების გულისთვის. ერთს მშვენიერს დღეს ჩემს კოლს მივუთითე ჩვენს პატარა კლარა-ზე და ვუთხარ:

— ჩემ ძეირფასო, რად აძლევ ბავშვს ნებას, რომ ნაფო-
ტები პირში იდოს და ლეჭოს.

— ჩემ კარგო, ეგ სრულებით არ ავნებს, — მიპასუხა კო-
ლმა, მაგრამ მე ჩვეულებისამებრ აფუხირდი:

— ჩემ სიხარულო, რამდენადაც ვიცი, ყველა საჭმელე-
ბიდან ნაფოტებს ყველაზე ნაკლები ნოკიერება აქვს.

ჩემი კოლი გაიფხორა და მითხრა:

— ეს ნაძვის ნაფოტია, ყველა ექიმები კი ერთხმად ამბო-
ბენ, რომ სკიპიდარი, რომელსაც ნაძვის ხე შეიცავს, ძალიან
სასარგებლოა ნაწლევთა და ხერხემლის ტვინით ავადმყოფთა-
თვის.

მე ყურები ვცემიტე:

— აჲა, მე სრულებით არა შეცდნია, თუ კლარას ხერხე-
მლის ტვინი და ნაწლევები საღი არა აქვა!

— მერე, მაგას ვინ გეუბნება? რა სისულელეა!

— შენ თითონ არა სთქვი ეხლა...

— ეგ სულ ერთია; სარგებლობის მეტს ბავშვს ნაძვის ნა-
ფოტი არას მოუტანს.

ამგარი ლოლიკის წინააღმდეგ, რასაკვირველია, არაფერი
მეთქმოდა, და ქედმოხრილმა ვუპასუხე:

— კარგი, თუ შენ აგრე გგონია, მაშ მე დღესვე შევუ-
კვეთავ რამდენსამე ურემს ნაძვის ხეს. არ მინდა, რომ ჩვენს
კლარას ასეთი უსაკიროესი რამ აკლდეს...

— თუ ღმერთი გწამს, ისევ შენს კანტორაში წადი, და
მომასვენე. შენთან ხმო სიტყვა არ ითქმის, რომ მაშინვე კუდი
არ გამოაბა და მსჯელობა არ დაიწყო... იქმდის მსჯელობა,
რომ შენ თითონ აღარ გესმის, რაზე ხოლმე ლაპარაკი. სა-
ზოგადოდ, შენ არას დროს არ გესმის, რაზედ ლაპარაკობ.

— ჩემ ძეირფასო, მინდა გაუწყო, რომ შენს უკანასკნელ
შენიშვნაში, კაცი გრძნობს...


მაგრამ მე ვერ მოვასწარი წინადადების გათავება, რად-
განაც ამ დროს ჩემმა კოლმა უკვე ამაყად აიღო თავი მაღლა,
ერთი შემმუსკრელი თვალით გადმომხედვა, და ოთახიდან გას-
რიალდა.

საღამოთი ძიძამ ჩვეულებრივ მოგვიყვანა კლარა, რო-
მელსაც ამ დროს ძილის წინ ვეთხოვებოდით ხოლმე. უცბად
კლარამ წამოახველა. ჩემი კოლი მთლად გაფიტრდა და უმწე-
დე დაეშვა სავარძელში.


თ-დი პ. პ. ქრაპთაფინი. ცნობილი პუბლი-
ცისტი. 26 გიორგისთეს შესრულდა 70 წლისა. ლეს მისმა გაფიტრებულმა ტუჩებშა. მაგ-
მას აკრძალული აქეს რუსეთში ცხოვრება და რამ შეუთის შემდეგ წამოდგა და მთლად
შუამდგომლობენ, რომ ნება მისცენ სამშობლოში აღინთო იმ ძალით, რომელსაც თვით
(იხ. დღევაზეთი).

— ხუნაგა .. — ძლიერ წამოილულუ-
ცისტი. მისმა გაფიტრებულმა ტუჩებშა. მაგ-
მას აკრძალული აქეს რუსეთში ცხოვრება და რამ შეუთის შემდეგ წამოდგა და მთლად
შუამდგომლობენ, რომ ნება მისცენ სამშობლოში აღინთო იმ ძალით, რომელსაც თვით
(იხ. დღევაზეთი). სუსტი ადამიანებსაც კიანიქებს ხოლმე
სასოწარკვეთილება.

ს ა თ ა თ გ ი რ ი ს გ ა რ უ მ ა მ მ.



მეოთხე სათათბიროს პირველი კრება თავმჯდომარე რომიანკოს
არჩევამდე.



მეოთხე სათათბიროს კრება თავმჯ. რომიანკოს არჩევის შემდეგ.

განკარგულება მოახდინა, რომ კლარას კრაოტი ჩვენს
საძილო ოთახში გადაეტანათ და თითონ თვალს ადევნებდა,
რომ მისი ბრძანება სრულიად შეესრულებონათ. მე, რასაკვირ-
ველია, ვშევლოდი, თუმცა ძალიან გულით მინდოდა უკრა-
ლის უკანასკნელი რევული წამეკითხნა. საძილო ოთახის გვერ-
დით საპირფარეშო ოთახში რის ვაი-ვაგლაბით მოვაწყეთ ძი-

ძის დასაძინებელი აღვილი. მაგრამ შემდეგ ჩემს ცოლს მო-
გონდა, რომ ამ გვარად ჩენი მეორე ბავშვი მარტოკა და-
ჩება; გადავწყვიტე, კლარას კრაოტი ისევ საბავშვო ოთახში
გადაგვეტანა.

ცველაფერი გაემართეთ.

ის იყო, კაბინეტში წასვლა დავაპირე, რომ უცბად ჩემი
ცოლი მომიბრუნდა:

— კლარამ რომ ელიკოსაც გადასდოს?

ამ მოსაზრებამ ისე შეაშინა, რომ აუწერელი სიჩქარით
კვლავ გამოვიტანეთ კლარას კრაოტი საბავშვო ოთახიდან.
რა ვქმნათ! სად წავიდეთ! შეიძლება სასადილო ოთახში და-
ლაგდეთ, მაგრამ ძიძისთვის იქ აღვილი არ იქმნება; ძი-
ძა კი, ჩემი ცოლის აზრით, ლამზ უსათუოდ კლარას ახლო
უნდა ყოფილოყო. ჩენ ვფიქრობდით და ვანაწილებდით, თუ
როგორ დავლაგდებოდით სასტუმრო ოთახში, კაბინეტში,



პატრი მიხელ თამარაშვილის ძეგლი.

ტალანტიაც კი, მაგრამ იმით გავათავეთ, რომ ისევ საძილო
ოთახში დავბრუნდით.

ჩემი ცოლი რილასთვისაც შევიდა საბავშვო ოთახში,
საიდანც საშინაო აღელვებული დაბრუნდა.

— მორტიმერ! — მითხრა იმან ხმის კანკალით. — მორტი-
მერ, ელიკოს ისე მაგრა რადა სძინავს?

— ჩემთ ძვირფასო იმან ყოველთვის აგეთი ძილი იცის.

— ვიცი! მაგრამ ეს მაინც საშინელებაა! გამზრდელი
ახალგაზდა და გამოუცდელია, მე ძიძაც ყოველ შემთხვევის-
თვის ელიკოსთან დავტოვე.

— მშვენიერი აზრია. მაგრამ... აქ ვიღა მოგეხმარება,
თუ კლარა მართლა ავად არის?

— ცველაფერს მე თითონ გავაკეთებ.

ეს სიტკვები ჩემმა ცოლმა ისეთი ქედ-ქოხით, ისეთი
მოწამეობის კოლოთი წარმოსთქვა, რომ მე საჩქაროდ ვცადე
მისი დაშვიდება და ვუთხარი:

— მე გიშველი! ჩემის მხრივ უსვინდისობაა ლოგინში ვი-
წვე, როცა შენ ავადმყოფ ბავშვს თავით უზიხარ.



ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი ნინო,
ივერიის მეფე მირიან ქრისტიანობას უქადაგებს.
ნახატი იუპეგინისა.

მაგრამ იმან დამარტმუნა, რომ მარტოკაც კარგად მოუ-
კლის. ძიძა საბავშვო ოთახში წავიდა, ჩენ კი ისე ტანისამო-
სიანი მივწევით.

ნახევარ საათის შემდეგ კლარამ რამდენჯერმე წამოახვე-
ლა. ჩემი ცოლი წამოხტა და კრაოტს მიგარდა.

— ლმერთო! სად არის აქამდის ექიმი? მორტიმერ! აქ
ბავშვისთვის ძალიანა თბილა. ნამდვილი სიცხეა! დახურე ბუ-
ხარი ჩქარა!



გ. ს. ქებურია (+) თავის შეერთობაში.

შე ავდექი და სითბო დაეხურე. ლოგინთან რომ მივდიო-
ლი ტერმომეტრს შევხედე და ჩემს გონებაში ჩემს თავს დავე-
კითხე, ძალან ცხელა განა ოთახში, როცა ტერმომეტრი 15
ხაზზე უჩვენებს?

ამ დროს, მოსამსახურე მოვიდა და შევვატყობინა, რომ
ჩენი შინაური ექიმი ავად არის და ვერ მოვა.

ცოლმა მომაკვდავი მშველის თვალებით შემომხედა და ძლიერ წაიჩინოდა:

— ღმერთი გვსჯის ჩვენა! აგეთია მისი დიადი ნება! ექიმი თავისს დღეში ავად არა ყოფილა. ღმერთი გვსჯის ჩვენი საშინელი და ცუდი ცხოვრებისთვის. მე მშურს, თუ შენ ეხლა შეგიძლიან, თავს მშვიდად გრძნობდე.

მე ტკბილად შევნიშნე, რომ ჩემი მცირე გონებით ვგონებ, ჩვენ იმისთანა საშინელი ცხოვრება არ ვიტარებია, რომ ღმერთს ჩვენი ცოდვების გულისხმის ჩვენი ექიმი ლოგინში ჩატვინა, მაგრამ ცოლმა ხელს შემოჰკრა და შეჰკვირა:

— მორტიმერ! მაგ სიტყვებით ხომ ღვთის რისხეს იწვევ ჩვენს თავზე!

და მორთო ტირილი. მთელი ნახევარ საათი იტირა. შემდეგ ცოდვების წმენდით იქითხა:

— ექიმმა წამალი გამოგზავნა?

— გამოგზავნა. აი!

— მორტიმერ! შენ გინდა მეც მომკლა და კლარაცა! ნუ თუ არ გესმის, რომ ეხლა ყოველი წამი ძვირფასია? თუმცა... რალად გამოგზავნა, როცა აღარავითარი იმედი აღარ არის?

მე მოკრთალებით შევნიშნე, რომ საღაც სიცოცხლეა, იქ იმედიც არის.

— იმედი! მორტიმერ! შენ თითონ არ იცი, რას ამბობ! შენ გინდა რომ... არა! ეს აღსაშფოთებელია! რეცეპტზედ აწერია: „საათში თითო ჩაის კოვზი!“ თითქოს ჩვენს წინ მთელი სიცოცხლე იყოს! მორტიმერ! დაალევინე კლარას საღილის კოვზით წამალი. ჩარა!

— მერე, საღილის კოვზით შეიძლება...

— შენ მთლად გადამრევ! ასე... დალიე, ჩემო კარგო... ტკბილი წამალია, ეს გიშველის... ჰო, ეგრე ეხლა კი მოიტა, შეილო, გულზედ თავი დამადე და დაიძინე... ახ, მორტიმერ! მე ვგრძნობ, რომ დილამდის ვერ შეუძლებს. მორტიმერ! წამალი ნახევარ საათში თითო საღილის კოვზი აძლიერ. უნდა აფრელვე რამდენიმე წვეთი ელი მივცეთ... კარგია კიდევ აკანიტიც დავალევინოთ!

მე ამოვილე ელი და აკონიტი. კლარას ჩაეძინა. ჩვენ ც მივწევით. მე დავილალე და იმ წუთშივი წამთვლიმა. უცბად ცოლმა გამომაღვიძია.

— მორტიმერ! სითბო ღია?

— არა.

— მე კი არ ვიცი, არაფერზე არ იზრუნებ! აქ ისე ცივა, როგორც სარდაფში! ჩარა, გააღე სითბო!

ავდექი, გავაღე სითბო, ისევ დავწევი, ისევ წამთვლიმა და ცოლმა ისევ გამომაღვიძია!

— მორტიმერ! კლარას კრაოტი სითბოსთან ახლო მის წიგ.

მე გადავდგი კლარას კრაოტი სითბოსთან და ის იყო ძილის ვაპირობი, როდესაც ცოლმა მომთხოვა ზარი დამერექა, რადგანაც იმისი აზრით საჭირო იყო ახლო ჰერნიდა თხის ქონი. ავდექი, გადავდგი ორი ნაბიჯი და ფეხი დავადგი კატას, რომელმაც თავისი უკამაყოფილება საშინელი კნავილით გამოხატა. მე გავძრაზდი, მინდოდა კატისთვის ფეხი ამომეკრა, და სკამს კი მოვარტი.

— მორტიმერ! გაგიუდი! ღამპას რად ანთებ?

— მინდა ვნახო, თითო ხომ არ მოვიტეხე.

— ისა სჯობიან, სკამი ნახო, ხომ არ გატეხე? საწყალი კატა! იმისი რა ბრალია...

— აბა, კატაზე კი სჯობს გატეხებო, გეტუვი მხოლოდ, რომ ტყუილად გაუშვი ძინა, ის ყველა ამას გაცილებით უფრო კარგად გააკეთებდა, ვინეშ მე.

ცოლმა ტირილი დაწყო:

— ეს საშინელება! უბრალო რამის გაკეთება არ შეუძლიან იმ საზარელს წუთში, როცა ჩვენი ბავშვი...

— ყველაფერს გავაკეთებ! — თავანწირვით წამოვიძახე მე, — მითხარი, სად არის თხის ქონი?

— საბავშო ღთახშია, ბუხარზე.

მე მოვუტანე თხის ქონი და დავწევი. ორი წუთის შემდეგ ცოლმა კიდევ დამიძინა.

— მორტიმერ! მაპატივე, რომ კიდევ გსაქებდ. კლარას უნდა თხის ქონი წავუსვა, აქ კი ასე ცივა. ბუხარი აანთე. შეშა შიგ აწყვია, მხოლოდ მოკიდება უნდა.

ავანთე ბუხარი და იმის ახლო სავარძელში ჩავჭერი. ცოლმა მაშინვე დამიძინა:

— მორტიმერ! გაცივდები, ლოგინში დაწევი.

ის იყო ლოგინთან მივედი რომ ჩავწოლილიყავ, როგორც ცოლმა შემაჩირა:

— მორტიმერ, კლარას წამალი დაალევინე.

მე დავემორჩილე აქაც. ცოლმა ისარგებლა იმით, რომ კლარას გაეღვიძი, გახადა და დაუწყო თხის ქონით დაზელვა. მე ჩამოდენიმე ხნის შედეგ დამესიზრმა, ვითომ მატარებლით მივდივარ, მაგრამ ორთქლ-მავალი ჩემთან ვაგონში ზის და თავის საბუფერო თევზებს მარაში მიჯლაგუნდებამომელვიდა. თურებ ჩემი ცოლი ცდილობდა გაველვიძენე და კარგა ხანი მიჯლაგული მხარსა.

— მორტიმერ! აქ ორპირი ქარია. კლარას კრაოტი ბუხართან მისწიო.

კრაოტი ბუხართან მივწიო და ამ დროს რაღაც არშიანი ჩარსავი ჩამოგარდა. დავავლე ხელი და ბუხარში შევუძახე. ჩემი ცოლი წამოხტა და ბუხარს ეცა, რომ ჩარსავი ცეცხლისაგან გადაერჩინა, და ამასთანავე მისი მოკლე ბასის დროს გამოირკვა, რომ მე გასაწყვეტი, ადამიანთა მტანჯველი და კაცის მკვლელი ვარ.

რამდენიმე წუთის შედეგ უნდა პირსახოცი ამომელო და კლარასთვის გული შემეტვია. იმის შემდეგ კლარას გარჩინიკები დავაკარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ყელზე რაღაც მაღამო მივაწებე. ყოველს ოცს წუთში ბუხარში შეშას ვუკეთებდი და ცოლის ხელმძღვანელობით კლარას ახლ-ახალ მაღამოს ვაწებები, რისთვისაც ძალიან ხელოვნურად ვპოულობდი თავისუფალს ადგილს ბავშვის სსეულზე. წამალიც, ცოლმა მითხარა, ოცს წუთში ერთხელ დამელევინებინა, მხოლოდ ჩაის კოვზით, რადგანაც სხვაფრივ ის დილამდის აღარ ეყოფოდა. დილისთვის ღთახში დამზადებული შეშა გამოილია, და ცოლმა მომთხოვა, რომ შეშისთვის სარაიაში წავსულიყვა. მე ვცადე წინააღმდეგობა, მაგრამ ულმობელი ლორიკის წინაშე უნდა ქედი მომეხარა. სამჯერ ჩავედა დაბლა კიბეზე და მაშინვე მიმეძინა. გამომელვიდა ისევ ართქლ-მაგალის სიახლოებით გამოწვეულ ნაცნობ გრძნობით. უკვე სრულიად გათენებულიყო. ჩემს ახლო იდგა ცოლი და აღელვებით ძლიერ ღამი და იდგამდა სულსა. ბოლოს სასოწარკვეთილებით დაიყვირა:

— გათავდა, მორჩა ყველაფერი! გამოგვეცალა ხელიდან!.. კლარას... ოფლი სდის!

მინდოდა შემენიშნა, რომ გახურებულ ბუხართან, ორი სანის ქვეშ და მაღამოს ქრექში სკამსაც კი მოუვა მეტქი ოფლი, არამც თუ ბავშვსა, მაგრამ კეთილ-გონიერად შევიკავე თავი და მხოლოდ ვურჩიე კრაოტი ცოლი მოეშორებინა ბუხრისათვის.

— სულელი ხარ! აქ წუთის დაყოვნებაც არ შეიძლება! გაიქეცი ექიმთან! ცოლცალი თუ მკვდარი უთუოდ მოიყვანე!

წამოვაყენე საწყალი ექიმი ლოგინიდან და მოვიყვანებინა გაშინჯა კლარა და სთქვა, რომ საშიში არ არისო. მე გამეხარდა, მაგრამ ჩემი ცოლი კი გაჯავრდა, თითქოს ექიმს რაღაც უკადრისობა ეთქვას. შემდეგ ექიმმა საგულვებლად წარმოსთქვა, რომ კლარას მხოლოდ ყანურატო აქვს რილათიც უბრალოდ გალიზიანებული. ამ სიტყვების შემდეგ ჩემი ცოლი მზად იყო კარგი ექვენებინა ექიმისთვის. ექიმმა დაალევინა კლარას რამდენიმე წვეთი რაღაც წამლისა, რამც კლარას ხელება დააწყებინა, რის შემდეგაც ლამბაჭედ ნაჩვენები მოჩნდა რამდენიმე ნაძვის ნაფორტის პწყარი.

— პწედავთ! — მხიარულად წარმოსთქვა ექიმს... — აი! აღბად ნაფორტები იღო პირში... ეს საშიში არ არის!

— რასაკვირველია! — საჩქაროდ დავემოწმე ექიმს. — შით უმეტეს, რომ ის ოქავდა ნაძვის ნაფორტებს. ნაძვის ხეში კი არის ბელაკონი, რომელიც ძალიანა ჰუცელის სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩემი ცოლი თქვენ ამა დაგიმტკიცებთ.

მაგრამ ცოლმა არაფერი დაამტკიცა. იმან შემომხედა მომაკვდინებელი სიძულვილის თვალით, გავიდა და კარები გაიჯანს.

ამის შემდეგ კლარა ნაძვის ნაფორტებს აღარა ღეჭავს ხოლოე.

გ. ნამორაძე.